დასკვნა:**დ08. 3723265001**
თარიღი:**22/09/2023**

დ ა ს კ ვ ნ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის „მდგრადი ენერგეტიკის და კლიმატის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“- პროექტზე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიამ განიხილა მდგრადი ენერგეტიკის და კლიმატის სამოქმედო გეგმის პროექტი და დაადგინა:

1. კლიმატის ცვლილებასთან ადაპტირების თვალსაზრისით სამოქმედო გეგმა ორიენტირებულია კლიმატის ცვლილების მიმართ მუნიციპალიტეტის ყველაზე მოწყვლადი სექტორებისა და სფეროების შედეგების გაძლიერებაზე, მათი საადაპტაციო პოტენციალის ამაღლებასა და თითოეულ სექტორში კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ზიანისა და ზარალის შემცირებაზე.

2. წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ენერგიის ელმისაწვდომობის გაზრდას და არახელსაყრელი სამუშაო და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას. სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისა და კერძო საკუთრებაში შენობების რეაბილიტაციას მათი ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით.

3. სამოქმედო გეგმის ფაქტობრივი განხორციელება აუცილებლად გამოიწვევს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას, შესაბამისად ამაღლდება მოსახლეობის მატერიალური და სულიერი ცხოვრების დონე.

4. პროექტში მოცემულია სამოქმედო გეგმის განორციელების შედეგად მიღწეული საბოლოო შედეგები, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:

   - მოქალაქეთა ცხოვრების ხარისხისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესება.

   - სტიქიური მოვლენებისადმი შედეგი ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობის დაჩქარება.

   - სასოფლო-სამეურნეო და სხვა სახის პროცედურის მოსავლიანობის თავიდან აცილების ღონისძიებების გატარება.

   - ბუნებრივი რესურსების ეკონომია მათი მომჭირნეობით ხარჯვის ღონისძიებათა სისტემის დანერგვის გზით.

   -ინვესტიციების მოზიდვის მოცულობათა მნიშვნელობათა ზრდა და ა.შ.

   5. სამოქმედო გეგმაში საფუძლიანად არის შესწავლილი:

   1) არსებული მდგომარების მიმოხილვა,მასში ასახულია:

   -სათბურების აირების ემისიები

-შენობა-ნაგებობები, ტრანსპორტი

-მომავლის პროგნოზი: სცენარის შერბილების აქტივობის გარეშე

-კლიმატის ცვლილებების უარყოფითი შედეგები (ტემპერატურის მატება, ნალექების რაოდენობა, წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზია, წყალდიდობა და მეწყერი,ზღვის დონის მატება, თბური ტალღები).

2) სტრატეგიული ჩარჩო, ხედვა, მიზნები და ამოცანები : მოცემულ მიმართულებაში იგეგმება: ახალი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, ტრადიციული ენერგიის განახლებადი ენერგიით ჩანაცვლება,მოძველებული აღჭურვილობის შეცვლა, გარე განათების სისტემის განახლება, მოქალაქეებისათვის ენერგოეფექტური ქცევის გამომუშავება.

3)სექტორული პრიორიტეტები : აღნიშნული მიმართულება ითვალისწინებს:

-მუნიციპალური შენობების რეაბილიტაცია ენერგო ეფექტური მიდგომების გამოყენებით.

-არამუნიციპალური და საცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია ენერგოეფექტური მიდგომების გამოყენებით.

-ქუჩებისა და შენობების ფასადების ენერგოეფეტური ნათურებით განათება.

- ტრანსპორტის დაბალემისიანი განვითარება.

4) კომისიამ (კომისიებმა) მოიწონეს განხილვა-დამტკიცების მიზნით წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის პროექტი და იგი რეკომენდირებულია საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი